ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482113433**

თარიღი:**14/05/2021**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, (თეთრა მღვიმის ბუნებრივი ძეგლი) შპს „თეთრა ჯგუფი“-ს სარგებლობაში (იჯარა) არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.34.052; მე-2 კლასი, 294.08 კვ.მ) ვიზიტორთა ცენტრის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“ სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

2020 წლის 15 ოქტომბრის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის N 31 2946 ბრძანებით, შპს „თეთრა ჯგუფი“-ს ნება მიეცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს.კ.№ 29.09.34.052) ვიზიტორთა ცენტრი მიღებული იქნა ექსპლუატაციაში.

2021 წლის 22 აპრილის N19/4821112133-48 განცხადებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა შპს „თეთრა ჯგუფი“-ს დირექტორმა გიორგი ტყაბლაძემ და ითხოვა სამშენებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანა, როგორც არსებულ შენობა -ნაგებობაზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ:

1. ვიზიტორთა ცენტრის ფილის თავზე, ფეხით სასიარულო ბილიკების მოწყობა რკინა ბეტონით 45,8 კვ.მ.

2. შეიცვალა სან.კვანძის შენობაში (საპირფარეშოებში) განთავსებული სველი წერტილების განლაგება.

3. ვიზიტორთა ცენტრის 0.00 ნიშნულზე მოიხსნა სალაროს, მენეჯერის ოთახისა და კომერციული სივრცის გამყოფი ტიხრები და გადაიქცა ერთიან სივრცედ-ფართი 12,6+3.5=16.1 კვ.მ

4. ვიზიტორთა ცენტრის 0.00 ნიშნულზე დაემატა გარე სანიაღვრე ორმო:- სიგრძე 5.95 მ. სიგანე 0.40 მ.

5. შეიცვალა მღვიმეში შესასვლელი ცენტრალური კარის განთავსების ადგილი, კერძოდ განთავსდა სამხრეთის მიმართულებით 2 მეტრით უკან.

6. ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ტიხარი გადავიდა სალაროს მხარეს.

7. ვიზიტორთა ცენტრის ფილიდან 0.00 ნიშნულზე ჩასასვლელ კიბესთან, მიწის გამაგრების მიზნით დაემატა რკინა-ბეტონის კედელი.